

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #172

ქ. სიღნაღი

31 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის დავით ჯანიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ივანე ქვრივიშვილი“ (შემოდგომში „მიმწოდებელი“) ვდებთ, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია --- სოფელ ზემო ბოდბეში „12 მოციქულის სახელობის“ („სვეტიცხოველი“) ტაძარში ამბიონის და კანკელის მოწყობა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1586 (ერთი ათას ხუთასოთხმოდრეცხი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. ანგარიშსწორების ფორმა, ვალუტა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 4 ფასები:

4.1 შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვალ დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

4.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების და მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამით იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

5.1 შესყიდვის ობიექტია : სოფელ ზემო ბოდბეში „12 მოციქულის სახელობის“ („სვეტიცხოველი“) ტაძარში ამბიონის და კანკელის მოწყობა.

5.2 კლასიფიკატორის კოდი : 4540000

მუხლი 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2015 წლის 31 აგვისტოს.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

1. ვასილ უსუფაშვილი
2. ბორის ინაშვილი

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 შემსყიდველს ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

- ა) თუ მიმწოდებელი არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას,
- ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს,
- გ) იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს 3%-ს.
- დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.
- ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

8.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემტხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 დაუძლეველი ძალა ეს არის ის გარემოება, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნდა წინასწარი გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წაინააღმდეგ შემტხვევაში მხარე არ განთავსიუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

9.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 10.1 ხელშეკრულების მოქმედების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
- 10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა პირობები

- 11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 11.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 11.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
- 11.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.
- 11.5 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც გაიცელება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.
- 11.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და იანხება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შესყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელმოწერა უნდა შეწესდეს ქართულ ენაზე.
- 11.7 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს -2015 წლის 30 სექტემბრამდე.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მისამართი: ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის #2
საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ბანკის
კოდი TRESGE22
ა/ნ GE24NB0330100200165022
საიდ/ კოდი 240417223
მუნიციპალიტეტის გამგებელი:



/დ.ჯანიკაშვილი/

მიმწოდებელი:

ი/მ „ივანე ქვიციანიძე“

სიღნაღი, სოფ. ბოდბისხევი

ს/ს „ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22
ა/ნ GE26LB0288870040501103
3/ნ 40001036975

ი/მ:  /ი.ქვიციანიძე/